№ 125
სამშაბათი, 12 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 125
სამშაბათი, 12 ივნისი, 1901 წ.
რედაქციისა ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

Саѳтиаѳо № 741.

Саѳтиаѳо № 741.

Адресъ Телеграммъ: Тифлисъ „Фармацевтика“

Саѳтиаѳо Саѳонлити Мѳвачрѳ

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საქმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—44)

საღამოობით:

ნ. ნ. **როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. **თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. **ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არგანატაკი.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. **ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. **მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ბ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. **შატილოვი**—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. **ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. გ. **ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

ვ. ლ. **მარკევიჩი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. **ბელოგოლოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. **მადალაშვილი**—10 12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მთავროობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან საკუთარის თხოვნის თანახმად მთავარ სამხედრო შტაბის სათადარიგო მოხელეთა შორის ჩარიცხული სტატსკი სოვეტნიკი თავ. ანდრონიკაშვილი მუნდირით.

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, ჰირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისსავე ჰირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. **ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. **ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. **გეჯიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. **კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ფელეტონი

ი რ ლ ა ნ დ ი ა

III *)

(დასასრული)

აგიტაცია ულსტერში.—გაერთიანება პროტესტანტთა და ნაციონალისტთა.—კამათი პარლამენტში და სიტყვები რედმონდისა და როსსელისა.—მოსალოდნელი კოალიცია სამინისტროს წინააღმდეგ.

ამ შვიდის წლის წინად ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებდა, რომ ულსტერის ორანჟისტები-პროტესტანტნი და ირლანდიელი კათოლიკენი და ნაციონალისტნი ერთად იმოქმედებენ, მხარს დაუჭერენ ერთმანეთსაო. მართლაც და, განა ულსტერის სურვილისა და იმის გულის მოსაგებად არ უარ-ჰყო პარლამენტმა Home-Rule? ჯერ კიდევ 1893 წელს ბალფური, ჩემბერლენი და სხვა რეაქციონერები ულსტერის გმირებად ითვლებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ გლადსტონის სამინისტროს საადგილ-მამულო რეფორმებს, გლადსტონის შესანიშნავ კანონ-პროექტს ირლანდიის ავტონომიის შესახებ.

და ყველა ამის შემდეგ, ბალფურისა, ჩემბერლენისა და ამხ. სამინისტროს და მთლად ინგლისის განსაცვიფრებლად, ირლანდია მოულოდნელად გაერთიანდა, გაერთიანდნენ ამ კუნძულის მცხოვრებნი სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად. ყველაზედ უფრო რეაქციონერთა სამინისტრო გაანცვიფრა იმ მხნეობამა და სიცოცხლემ, რომლითაც ოდესღაც მათი მეგობარნი—ულსტერელნი იცავენ მტრებს ირლანდიელებს. გასაკვირველია მართლა, რა ერთ სულ და ერთ ხორც მოქმედებენ მიწების საეალდებულო გამოსყიდვის საქმეში უწინდელნი მტერნი, რა დაჟინებით თხოულობენ ეხლა ამ აქტის განხორციელებას ულსტერელნი იმ მინისტრებისაგან, რომელნიც თვითონვე დიდებულის მოხუცის ადგილზედ დაჰსვეს. საქმე-კი სულ უბრალოდ აიხსნება.

გლადსტონის სამინისტროს კომპრომისმა პარნელთანა და ნაციონალისტთა ლიგასთან, რომელიც რენტისა და ნება-ყოფლობით გამოსყიდვის კანონში გამოიხატა, თუ საკვლებით ვერ გადასწყვიტა საგრარო საქმე, ყოველს შემთხვევაში, განსაკუთრებით პირველ ხანს, რაოდენადმე მაინც გააუმჯობესა ფერმერთა და მოიჯარადრეთა მდგომარეობა და თვით ირლანდიასაც დროებით მშვიდობიანობა მიანიჭა. სალიბერალო სამინისტროს მიერ დანიშნული განსაკუთრებული მოსამართლეები და ექსპერტები კეთილ-სინდისიერად შეუდგნენ რენტის ნორმის დაწესებას; ამავე დროს სასამართლოს გადაწყვეტილებებმა სადავო ადგილების გამო წინანდელთან შედარებით გააუმჯობესეს იჯარის პირობანი მთელს ირლანდიაში. ლორდები, როგორც ოდესღაც ჩვენებური მებატონენი, სჩიოდნენ, სწუწუნებდნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ დაჰმორჩილებოდნენ. იმით-ღა ინუგეშებდნენ ისინი თავს, რომ როდესაც სალიბერალო სამინისტროს ნაცვლად რეაქციონერთა სამინისტრო გაბატონდება, ჩვენკენაც გაიმართება ქორწილიო. არც შესცდნენ: სალისბიურ-ჩემბერლენის სამინისტრომ სასამართლოს წევრებად ახლები დანიშნა და საიდუმლოდ განკარგულებაც მოახდინა, რომ რენტა გაედიდებინათ; თვით ლორდებს ეს სამინისტრო სხვა-და-სხვა საბაბით სახელმწიფო ხაზინიდგან წელიწადში თვითო მილიონს აძლევდა და ეს უკანასკნელი ექვსი წელიწადია ლორდები ამ ფულს იღებენ. მაგრამ ამ სამინისტროს მიერ ნახმარებ ღონისძიებათა შესახებ ქვემოდ გვექმნება ლაპარაკი.

იმ დროს, როდესაც აბობოქრებულ კათოლიკეთა ნაწილში სასამართლოს წყალობით ცოტად თუ ბევრად ხელ-საყრელი რენტა წესდებოდა და ნება-ყოფლობით გამოსყიდვის საქმეც წინ მიდიოდა (60 ათასმა მოიჯარადრემ გამოისყიდა უკვე ადგილები), ულსტერში სამიწა-ადგილო დამოკიდებულებანი უწინდელ, ზემოდ-აღნიშნულ *), საფუძველზედ რჩებოდა. მაგრამ, რაც დრო და ხანი გადიოდა, ცხოვრების გაძვირებისა და აგრეთვე მიწადმფლობელთა და იმათ აგენტთა შეთქმულობის წყალობით, საიჯარო ფასი დიდდებოდა, ასე რომ ბოლოს მიწად-მომქმედს წმინდა მოგება სულ ერთიან ამ ფასს უნდებოდა; ნება-ყოფლობით გამოსყიდვის შესახებ-კი არაფერი ისმოდა. კათოლიკეთა ნაწილში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ირლანდიას ჯონ მორლეი განაგებდა, მიწად-მფლობელთ, სცნეს რა სიძნელე საიჯარო ფასის გადიდებისა სასამართლოს მეოხებით, გამოსასყიდად აღარ იშურებდნენ ადგილებს. ულსტერში-კი მიწად-მფლობელთა ლიგა, კარგად მოწყობილი და ამასთან ძლიერი როგორც წევრთა რიცხვით, ისე პოლიტიკურის გავლენით, თან-და-თან უმატებდა იჯარას და გამოსყიდვასაც საზარალოდ სთვლიდა.

დიდი მომხრე-მეგობარნი არიან ულსტერელები კონსერვატიულ ინგლისისა, დიდად სძულდათ იმათ ირლანდიის ის მუდამ მღელვარე ნაწილი, სადაც კათოლიკენი სცხოვრობენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ კათოლიკეთა ირლანდიაში საადგილ-მამულო დამოკიდებულებათა პირობანი უმჯობესდებოდა, ფაქტად რჩებოდა და მუდამ თვალში ეჩხირებოდათ გლადსტონ-მორლეის რეფორმათა ამ ოდესღაც დაუძინებელ მტერთ. თან-და-თან ჰგრძნობდნენ თავიანთ წინანდელ შეცდომას, ჰხედავდნენ რომ თავიანთ საზარალოდ იმოქმედეს მაშინ, როდესაც წინააღმდეგობა გაუწიეს გლადსტონის წინადადებას მიწების საეალდებულო გამოსყიდვის შესახებ. რა-კი ერთხელ-

*) იხ. „ივერია“, № 119. ამ ნომერში დაბეჭდილ ფელეტონს „ირლანდიის“ ნაცვლად შეცდომით „წერილი ინგლისიდგან“ ეწერა.

*) იხილე მეორე წერილი „ივერია“ № 119.

განსხვავება ამ კლასიკურ და საზოგადო სკოლის შორის დაიწყობა მხოლოდ მესამე კლასიდგან. ამ გვარი კლასიკური გიმნაზიები დატოვებული იქმნება ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში და, თუ საჭირო იქმნება, ზოგიერთ სხვა ქალაქშიაც, როგორც, მაგალითად, ვილნოსა, ტფილისსა, რიგასა და სხვაგან. სიმწიფის ატესტატები გაუქმებული იქმნება. კლასიკურ გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთ ყველა უმაღლეს სასწავლებელში შეეძლებათ შესვლა. ვინც მხოლოდ ლათინურ ენის განყოფილებას გაათავებს, საფილოლოგო ფაკულტეტზედ შესვლის დროს ბერძნულ ენაში უნდა დაიჭიროს ეგზამენი, ხოლო ვინც რეალურ განყოფილებას გაათავებს, იურიდიულ, აღმოსავლეთის და სამკურნალო ფაკულტეტებზედ შესვლის დროს ლათინურ ენაში უნდა დაიჭიროს დამატებითი ეგზამენი.

*** სახელმწიფო საბჭოს შეუწყნარებია ახალი კანონ-პროექტი, რომლითაც შეცვლილია ზოგიერთი ნაწილი დროგამოშვებით მწერლობის შესახებ კანონისა. ამ დღეებში გამოაქვეყნებენ ამ კანონ-პროექტს.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრიას განუზრახავს გადაკეთება და მოწყობა პროვინციის საბოტანიკო ბაღებისა. სხვათა შორის, აზრადა აქვთ გადააკეთონ ტფილისისა და ერევნის ბაღები. უკვე შეუმუშავებიათ პროექტი ტფილისის საბოტანიკო ბაღის გადაკეთებისა. ბაღმა ამიერიდგან უმთავრესად უნდა იზრუნოს ხალხში საუკეთესო ჯიშის ვაზისა და ხეხილის გავრცელებისათვის. გარდა ამისა ახალი შტატები იქმნება დაწესებული. დანიშნავენ თვითეულ ბაღისათვის დირექტორს, მთავარ ბოტანიკოსს მუზეის გამგეს, უფროს და უმცროს მებაღეებს.

*** 15 ივნისიდგან ტფილისში იმართება უფასო კურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა. კურსებზედ მიიღებენ ვაჟებსა და ქალებსაც.

*** ზოგიერთს სამრევლო-საეკლესიო სკოლაში, სადაც სწავლა ქართულად სწარმოებს, ქართველ მოსწავლეთა გარდა ოსებიც სწავლობენ. ეხლა საეპარქიო მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ იმ სკოლებში, სადაც სხვა-და-სხვა ეროვნების უმაწვილები სწავლობენ, უპირატესობა აღარ მიეცეს რომელსამე ადგილობრივს ენას, არამედ რუსულ ენაზედ ასწავლონ.

*** კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტს ყოველ დღე მრავალი განცხადება მოსდის კავკასიის სხვა-დასხვა კუთხიდგან ნაწარმოებთა გამოფენაზედ გამოგზავნის შესახებ. ბევრნი საზოგადო პავილიონში ადგილსაც თხოულობენ ექსპონატებისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოფენისათვის პავილიონის აშენების საქმე მეტად სწრაფად და კარგად მიდის; ამ ჟამად უმთავრესი პავილიონი უკვე აგებულია და გადახურული და ეხლა შეუდგნენ ძირს ცემენტის დაგებას და განყოფილებათა მოწყობას; გაცხარებული მუშაობაა აგრეთვე კერძო პავილიონების ასაგებადაც.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის საბაღოსნო სკოლის კომისიას განუზრახავს კავკასიის გამოფენაზედ საბაღოსნო სკოლის ნაწარმოებთათვის ცალკე პატარა პავილიონი გამართოს. მომისიას ამისათვის საჭირო ფული უთხოვნია სას.-სამეურნეო საზ. საბჭოსათვის.

*** მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან ამას წინად შუამდგომლობა აღსძრა გამოფენის გამგე-კომიტეტმა, რომ გამოფენაზედ სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღის წარმომდგენელთ ნება მიეცეთ საზღვარ-გარეთიდგან უბაჟოდ ამ იარაღის შემოტანისა. სამინისტროს უცნობებია კომიტეტისათვის, მაღე შეგატყობინებთ, თუ რომელ დამოკონებიდგან იქნება ნება დართული ასეთის იარაღისა და ნივთების შემოტანაო.

*** საგუბერნიო მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ ტფილისის გუბერნიის სოფლებში მამასახლისებად არჩეულ იქმნენ ხოლმე წერა-კითხვის მცოდნე და გაგებული კაცები და სოფლის მწერლებსაც დანიშნოთ გადაწყვეტილი ჯამაგირი; ამას გარდა გუბერნ. განკარგულებით მცხოვრებთა დასაცველად ლამე დანიშნულ იქმნენ ლამის დარაჯნი.

*** დღეს, 12 ივნისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება მოხდება. განსახილველად დანიშნულია: 1, მიმდინარე საქმეები; 2, საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა; 3, სასტატისტიკო ბიუროს წევრთა არჩევნები. კრებაზედ გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** 9 ივნისს, დილის 11 საათზედ, როგორც დეპეშამ უკვე გვაცნობა, ბათუმში როტშილდის ქარხნის მეარტელეს იარაღებს სახელმწიფო ბანკიდგან გამოტანილი ფული 15,000 მან. მიჰქონდა თურმე მუშებისათვის დასარიგებლად. როტშილდის ქარხნის მახლობლად ეტლი შეუჩერებია ოთხს შეიარაღებულს ბორტ-გახმზახველს, მოუკლავს ტყვიით იარაღებთან მიმავალი დარაჯი უსუფ ნიჟარაძე და წაუღია 13,000 მან. ოქროსი და ვერცხლის ფული. ავაზაკებს ვერცხლის ფულიანი პარკი გზაზედ დაუგდიათ. მაშინვე კვალ-და-კვალ დაედევნენ პოლიციელნი და დარაჯნი და სოფელსუში გარს შემოერტყნენ ავაზაკებს, რომელთაგან მოკლულ იქმნა ერთი გიორგი ლორიქიფანიძე, ორი შეიპყრეს — ალექსანდრე ლალიაშვილი და კონტირია სახურია, მეოთხე-კი, რომელიც ციმბირიდგან გამოქცეული მესხი აღმოჩნდა, დაიმალა. დარჯებს მთაში 6 ათასი მან. უნახავთ ავაზაკებისაგან დაგდებული.

*** წელს ტფილისში სწავლა დაუმთავრებიათ:

წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში: შინა აღმზრდელის წოდებით: ელენე მუსხელაშვილს, ელენე ზარაფიშვილს, მაკრინე ჩერქეზიშვილს; შინა მასწავლებლის წოდებით: თამარ თაქთაქიშვილს, ნატალია ორანგოზიშვილს; მე-VII კლასი დაუმთავრებიათ: მართა შიუკაშვილს (ოქროს მედლითა და ჯვრით), მარ. ზედგინიძეს (ვერცხლის მედლითა და ჯვრით), სიდამონ-ერისთავს (ვერცხლის მედლითა და ჯვრით), ოლგა აბულაძეს, ბარ. ზანდუკელს, ელენე ყარანგოზიშვილს, ნინო ნათაძეს, ანნა თურქიას, ელენე ჩერქეზიშვილს, ეკატ. შიუკაშვილს, თამ. შიუკაშვილს, მარ. ჯაფარიძესა და რატი შვილს.

ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში:

ევგ. გამრეკელს, პავ. გოკელს, დიმ. მგალობლიშვილს, იოს. ციციშვილს, ს. გამრეკელს, ნიკ. ყანჩელს. ამათ გარდა სიმწიფის მოწმობა მიულიათ კიდევ ექსტერნებს: ნ. ყანჩელსა და პ. გედევანიშვილს. სწავლა-დამთავრებულ ქართველთაგან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგენია მაღალ სასწავლებელში სტიპენდიანტად ევგ. გამრეკელი.

ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში: ლ. დიახამიძეს (ვერცხლის მედალით), პლატ. ზედგინიძეს, გრ. ქაჯაიას და ლ. მგალობლიშვილს.

*** ერევნის გიმნაზიაში წელს ორ ქართველს გაუთავებია სწავლა პ. ს. ვარდანაშვილს და გ. პაატაშვილს. პირველს ოქროს მედალი მიულია.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, კავკასიის სატეხნიკო საზოგადოება შემოდგომიდგან საზოგადო სატეხნიკო კურსებს ჰმართავს ტფილისში, ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროს ამ კურსების გასამართად 750 მ. გადაუდვია, ხოლო შემდეგ 3 წელში გადადებულ იქმნება 1,500 მ. წელიწადში.

*** ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსმა განკარგულება მიუტანა, რომ 1 ივნისიდგან ამ გზაზედ აღკრძალული იქმნას ახალი თევზის გადატანა, ძველოდ მგზავრთ შეუძლიანთ თავის ბარგთან ერთად თითო ცალი ახალი თევზი და 3 გირვანქა ხიზილალა გადიტანონ ხოლმე.

*** ქუთაისიდგან ჭიათურის შტოს სადგურებამდის მიმოსვლის გასაადვილებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ახალი წეს-რიგი შემოიღო ამ წლის 6 ივნისს გამოცემულ ცირკულიარით.

*** როგორც თელავიდგან გვატყობინებენ, სამშაბათს, 5 ივნისს ადგილობრივის საკვირაო სკოლის საესარგებლოდ ქართულ-რუსული წარმოდგენა გაუმართნიათ.

იქიდგანვე იწერებიან, რახვა აქვთ თელავში თეწიგნთ-საცავისათვის შენობის ასაშენებლად ამ ზაფხულს რამდენიმე წარმოდგენა და კონცერტი გამართონ.

*** დღეს, 12 ივნისს, ძმ. ნეიტინების ცირკში ფიზიკოსი ბ. ვ. დერინგი კამართავს მოძრავ ოპტიკურ სურათების წარმოდგენას. დერინგს მშვენიერი სურათები ჰქონია და ხალხიც ყოველთვის იმის წარმოდგენას ბლომად ესწრება ხოლმე. ბავშვების უფასოდ შეუძლიანთ შესვლა.

*** რედაქტორ გაზ. „არგონ“-ს ბეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, ტფილისის ოლქის სასტატ. მოსრბეგ-ბელი მოსამართლე ზუბალაშვილი სკუთარის სურვილითაც სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა.

*** ქ. გორი. წელს გორის სასტატ. სემინარიაში სწავლა დაამთავრა თვრამეტმა ახალგაზრდა კაცმა. ამათში მხოლოდ სამია ქართველი: ნიკოლოზ მერაბიშვილი, ივანე მაღრაძე და იაკობ დარჩია; დასარჩენთა შორის შვიდი თათარია, სამი ბერძენი, ორი რუსი, ერთი გერმანიელი და ერთიც სომეხი.

გორის დედათა ბრიგიმნაზიაში სწავლა დაამთავრა ოცდ ოთხმა ქალმა;

ვე ხალხი ამა თუ იმ რწმენას დაადგება, თუნდაც ცრუ და შემცდარი იყოს იგი რწმენა, თვით უძლიერესი მთავრობა სასტიკის დევნითა და დაწიოკებითაც-კი ველარ შესძლებს იმის აღმოფხვრას. ისტორია მრავალის მაგალითით გვიჩვენებს იმას, თუ რა ძლიერია ხალხი მაშინ, როდესაც თვით-ცნობიერებითა და თანაგრძნობითაა გაერთიანებული... ტრანსვაალის ამბებიც საუკეთესო დამამტკიცებელია ამისა.

სცნეს რა თავიანთი შეცდომა, ულსტერელებმა გულ-მოდგინედ მოჰკიდეს საქმეს ხელი ამ შეცდომის მავნე გავლენის აღმოსაფხვრელად. გაიმართა აგიტაცია. შეუდგნენ საადგილ-მამულო რეფორმის კავშირების დაარსებას. კავშირებმა ერთხმად გადასწყვიტეს, რომ დღევანდელ გაჭირვების თავიდგან აცილება მხოლოდ მამულების სავალდებულო გამოსყიდვით შეიძლებაო. აი სწორედ ეს სავალდებულო გამოსყიდვა მთავრობის დახმარებით გადაიქცა მოძრაობის მთავარ საგნად. კონსერვატიულმა სამინისტრომ, რომელსაც ულსტერი მხარს უჭერს, უნდა გადასდოს ხაზინიდგან ფული მამულების გამოსასყიდადაო, ამბობენ მოიჯარადრენი, ამასვე გაიძახიან იმათი წინამძღოლნი და ამასვე თხოულობს პარლამენტში მოძრაობის უნიჭიერესი და მხნე წარმომადგენელი ტ. როსსელი. თხოულობს არა ოპოზიციის მომხრე, ან ირლანდიელი ნაციონალისტი, არამედ სამინისტროს მეგობარი: როსსელი წევრია სამინისტროს უმრავლესობისა, იგი მომხრეა ტრანსვაალთან ომისა და მტერი Home-Rule-სა... ერთის სიტყვით, — ნამდვილი ორანჟისტია, ამასთან ნიჭიერი და გავლენიანი კაცი.

პირველად პარლამენტში ამ ახალმა დასმა ხმა ამოიღო ამა მიმდინარე წლის თებერვალს სეფე სიტყვის ადრესის გამო კამათის დროს. ირლანდიის დასის მეთაურმა რედმონდმა მოითხოვა ადრესში შემდეგი სიტყვები ჩაემატებინათ:

„და უმოორჩილესად უცხადებთ თქვენს უდიდებულესობას, რომ კანონი ირლანდიის მიწად-მფლობელობის შესახებ არ აკმაყოფილებს თქვენ ირლანდიის ქვეშევრდომთა არც ერთს კლასს; საბოლოოდ და სამუდამოდ საადგილ-მამულო საქმის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მამულების სავალდებულო გამოსყიდვით და წვრილ დამოუკიდებელ მიწად-მფლობელთა შექმნით“.

თავის წინადადებას რედმონდი, როგორც ყოველთვის, დიდის ჭკუითა და მჭერმეტყველობით იცავდა. იმისი სიტყვა ფაქტებით სავსე იყო. მაგრამ რედმონდი ირლანდიელია, ნაციონალისტი, პარლამენტში ირლანდიელთა (103 დეპუტატია) მეთაური, მაშასადამე, სამინისტროს უმრავლესობის თვალში — რევოლიუციონერი, სეპარატისტი. რედმონდის მეცადინეობა, იმისი თავგამოდება ირლანდიელ გლეხისათვის უნაყოფოდ ჩაივლიდა, რომ ამ დროს სამი ისტროს უმრავლესობის მხრიდგან როსსელი არ წამომდგარიყო. როსსელმა ყველაფერში მხარი დაუჭირა ირლანდიელ მამულიშვილს. იმან გამოაქვეყნა გასაოცარი უსამართლობა, მოქრთამეობა იმ ადმინისტრაციისა და სასამართლოებისა, რომელთაც საადგილ-მამულო საქმის მოწყობა აქვთ ჩაბარებული. დღეანდელი საადგილ-მამულო მოსამართლენი კონსერვატიულ სამინისტროს კრეატურებისაგან შესდგებიან; იმათ სრულიად დაამახინჯეს გლადსტონ-მორლეის რეფორმაო. როსსელი, ისევე როგორც რედმონდი, საქმის მოსაგვარებლად, სიმართლის აღსადგენად და გაჭირვებულთა საშველად ხსნას ჰხედავს მიწების სავალდებულო გამოსყიდვაში მთავრობის დახმარებით. ჩვენ, სთქვა როსსელმა, 200 მილ. გირვ. სტერლინგს ვფანტავთ. იოჰანესბურგში მყოფ ინგლისის ქვეშევრდომების დასაცველად, იმ ქვეშევრდომებისა, რომელთა რიცხვიც რამდენსამე ათასს არ აღემატებოდა. ამ ფულის ნახევარი საკმაო იყო ირლანდიასა და ინგლისს შორის საუკუნოებით ჩამოყარდნილ უთანხმოების გადასაწყვეტად, რამდენიმე მილიონ გაღარიბებულ ირლანდიელის გასაბედნიერებლად და მათთვის პატიოსან და დამოუკიდებელ ცხოვრების უზრუნველ საყოფელადაო.

მეტად დიდი შთაბეჭდილება იქონია როსსელის სიტყვამ. ირლანდიის მეგობარნიცა და მტერნიც ყველაზედ მეტად გაანცვიფრა კათოლიკეთა და ორანჟისტთა მეთაურების, მაშასადამე, თვით ხალხის, შეერთებამ, იმ წინამძღოლებისა, რომელნიც პალატის ორ სხვა-და-სხვა მხარეს სხედან. როსსელის პასუხი თვით ბალფურმა უგო. პასუხი, თუმცა მეგობრული, ზრდილობიანი იყო, მაგრამ გადაჭრილ უარს კი შეიცავდა.

მაშინ როსსელმა და იმისმა მეგობრებმა ერთის მხრივ, და რედმონდმა და ირლანდიელებმა მეორეს — გადასწყვიტეს თვით ხალხისათვის მიემართათ.

დღეს ბელფასტში კრება აქვს საერო საადგილ-მამულო კონვენტს. მთელ მიწად-მომქმედთა ულსტერსა ჰყავს წარმომადგენელნი ამ კრებაზედ. 5 ათასამდე დელეგატი გამოცხადდა მეთაურთა მოწოდებით. იმათი დევიზია: „მიწა ხალხისათვის“; „მიწა — თვით სიცოცხლეა“; „გაერთიანებული ირლანდია მიწასა თხოულობსო“.

გაერთიანებულ ირლანდიის დელეგატთა ამ პირველ კრების სიტყვებისა და გადაწყვეტილებების შესახებ კრების დამთავრების შემდეგ მოველაპარაკები მკითხველს. გადაწყვეტილებანი, ეტყობა, არ

ამოგან ქართველები არიან: თამარა ავალიშვილი, ეკატ. ფავლენიშვილი, ელენე თაქთაქიშვილი, მარიამ კლიმიაშვილი, თამარა კლიმიაშვილი, აგრაფენა აბაზაძე, ანნა ინაური, ელენე მშვილაძე, ანნა ძნელაძე, ეფემია კობახიძე, ანნა ავალიანი, ელისაბედ კაპანაძე და თამარა აბუკევი. სულ თორმეტი ქართველია, ექვსი სომეხი, ხუთი რუსი და ერთი გერმანიელი.

ბორის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრეს შემდეგმა ქართველებმა: მიხეილ აბეწაშვილმა, ბედიანიძემ, ი. გულაშვილმა, გოგიბედაშვილმა, ვლადიმერ დევაძემ, ს. დაცაბიძემ, ს. ლოლაძემ, სოსო მაისურაძემ. დ. ხვადაგაძემ, ბ. ჩარკვიანმა, არჩილ ხმალაძემ, ალ. ჩიტაშვილმა, კ. გამყრელიძემ, მღებრიშვილმა. სულ ცამეტი ქართველია, რვა სომეხი, ერთი ჩეხი, ერთი რუსი და ერთიც იტალიელი.

⁂ წარსულ ხუთშაბათს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბ-ნ ქაჯაიასი, რომელიც ბ-ნ მამინაიშვილს 16,000 მანეთს ედავებოდა. სასამართლომ, მოისმინა რა მოწმეთა ჩვენება და ქაჯაიას ვექილის სიტყვა, აგრეთვე მამინაიშვილისაგან წარდგენილი სიმართლის საბუთები, უსაფუძვლოდ სცნო ქაჯაიას სარჩელი და უფასოდ ებო დასტოვა იგი.

⁂ 9 ივნისს, დილით, ბორჯომის სადგურზედ, ვაგონების შეერთების დროს მოსამსახურეს ერმილე ინასარიძეს თავი დაჰშავებია.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს იჯარით გასცეს გასათბობ მასალის გადატანის საქმე ტფილისის სადგურის მახლობლად მდებარე საწყობიდგან სხვა სახლებსა და რკინის გზის გამგეობაში—სულ 400 კუბიკური საჟ. შეშა და 40,000 ფუთი ქვა-ნახშირი წელიწადში. მსურველთ განცხადებანი უნდა გადასცენ მატერიალურ სამსახურის უფროსს რკინის გზის გამგეობაში, ელისაბედის ქუჩაზედ, შუადღის 12 საათამდის, ამა 1901 წლის 10 ივლისს.

წერილი ქვაბლიანიდგან

ს. უდე. უდე სძევს ახალციხის მაზრაში, ანუ ქვაბლიანში. ქვაბლიანიდგან ერთი გზა თფილისამდი არტანს გადადის, მეორე აჭარას, მესამე ადუქენის მხრით იმერეთსა და მეოთხე ბორჯომისაკენ მოდის. ძველად ეს მხარე მთლად დასახლებული იყო ქართველის ტომით, აქ ქართველთ შორის ქართული ენაც ისრეკვე მეფობდა, რაგორც დღეს ეს ქართლსა, კახეთსა და იმერეთშია.

ჩვენდა საუბედურად, 1627 წ. მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დაუკავშირდა, მინამდის-კი მხოლოდ ხარჯს უხდიდა. აქაური წეს-წყობილება, გამგეობა, სამხედრო და სამოქალაქო გამგეობა ათაბეგებს ეკავთ და სამდვდელოებასაც თავისი საკუთარი წარმომადგენელი ჰყვანდა, კუშურდუთელი. სამხედრო და საერო კანონმდებლობას თავისი საკუთარი ადგილობრივი ბეჭედი ესვა, ბექმ და ადბულამ მესხთათვის სამართლის წიგნიც შეადგინეს, (იხ. ნ. ხიზანაშვილის გამოკვლევა „ბექა და ადბულა ათაბაგნი) მესხთა საქმენი ამათის წიგნებით განიბჭობოდნენ, ასრეკვე სასულიერო წოდებას აქვნდა თავისი სასულიერო კანონთა კრება, რომლის ძალითაც არჩევდნენ სასულიერო საქმეებს. ახალციხეში კონსისტორიაც არსებობდა და სხ.

1625 წ. ბექა-ათაბაგი გათათრდა, ოსმალთა სამცხეში ათაბაგობა მოშალეს და ფაშობა განაწესეს; პირველ ფაშათ ეს ბექა დანიშნეს და სახელად საფარფაშა უწოდეს. ამათი გვარისა, ანუ ჯაყელების შთამომავალი ფაშები 1625 წ.-1740 წ. განაგებდნენ; ამათის გვარის დაუძლურების შემდეგ, სამცხის ფაშათ მცირე ხანს გათათრებული ფაშა ნიბაძე განაგებდა, რომელსაც თავი მოსწყვეს 1770 წ. ამათ შემდეგ სამცხეში ხიმშიაშვილები გაბატონდნენ. 1829 წ., ვიდრე რუსები ახალციხეს დაიმორჩილებდნენ, მანამდის აქ ხიმშიაშვილის გვარის ფაშები ისხდნენ: აბდული, სელიმი, ახმედ ფაშა და სხვანი.

დასავლეთ საქართველოში, ოსმალთ უველაზე ადრე ქვაბლიანს, ოცხეს, ოძრხეს და ჯავახეთს დაუწყეს გათათრება. XVII საუკუნის გასვლამდე აქაურს ქართველებში მუსულმანობა ისე წავიდა წინ, რომ მის მეოხებით 1700 წლებში მოიშალა ვარძია, სათარა, ზარზმა, ჯულების ტაძარი და სხვანი. რადგანაც ოსმალის ფაშების შუაგულ ცენტრათ ახალციხე ითვლებოდა, ამიტომ ოსმალეთის სასულიერო წოდებამ ძველადვე იმეცადინა და ამ კუთხის ქართველს მუსულმანებში სრული ფანატიზმი და ქართველობა სიძულვილი დაამკვიდრა, ქართული ენა ავიწყა. უკანასკნელად მათ მიაღწიეს თავიანთს სწადილსა და XIX საუკუნის ნახევრამდე ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა ძირეულად შეარეიეს, მოსპეს. დღეს ამ კუთხის მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართულის ენის ხმა ადრ გაისმის; თუ სადმე მცირედად შენახულა, იქაც დავიწყებას ეძლევა, რადგანაც ოსმალეთის სასულიერო წოდება აქ სოსტებსა ჭნიშნავს; სოსტები მოდიან აქ და ქართულის ენის დავიწყებასა ჭქადაგობენ. ამათის მეოხებითვე ამოვარდა ქართული ენა შავშეთსა, არტანსა, ჯანეთსა, კოლასა, ერუშეთსა, თორთომსა, ოლთისსა, ეარსში და სხვ. ესრეკვე უბედურება მოელის აჭარასა და სხვა ადგილებსაც.

ქვაბლიანში სძევს შემდეგი სოფლები: ზაზალო, წეისე, მარელი, ხონა, წარბასტუმანი, ორჯიმინა, ხურო, დორძე, სამურე, კასარეთი, ავხერი, ლელოვანი, ყარათ უბანი, გორგული, არალი, ჩორჩანი, სამოდა, წირე, ოსიეთი, ნაქურდევანი, ნამიაური, კუკუნაური, დორთუბანი, ციხის უბანი, ჭკალა, ჭეჭელ, უტეას უბანი, ზარზმა, მღაშე, მოსე, სიორმია, შოფო, დესესელი, ფლატე, კიკიბო, კეხოვანი, გოდერძი, ათეეთი, ზანავი, ქაცარაული, გომარო, დადვი, არძნე, გახნისი, ბოლაყური, ბენარა, ეწოელი ფსერი, ხევაშენი, წირე, წახანა, აბასტუმანი, ხარჯაში, წახნისი, წარო, უნწო, ფარეხა, ნაქურდევი (2), სადრიძე, ქიქინეთი, ჩუჩუტო, ჭაიხელი, წაღლობიდა, ულელა, აბატ-ხევი, წინუბანი, ნიოხსები, არალი, უდე, სხვიდისი, პამაჯი, მეორე პამაჯი, ზეარსის ციხე, ორალი, საძელი, თხაკი, ობი, ბენარა, ფერეხა, უნცა, ვარსანა, უნცა, ხევაშენი, წეურთა, მიქელ წმიდა, ფხეორო, ენთელი, შოფა, სარჯანი, წახნის წეარო, ჭიხელი და სხვანი.

დღეს ყველა ამ სოფლებში ქართული ენა ძირეულად არის ამოვარდნილი, ქართველთ მარტო გვარები შერჩენიათ ქართველისა, ბევრს ესეც აღარ აქვთ; ქართული გვარები თითრულ ხედ შეუცვლიათ: ყველა გვარი ოდლით თავდება. ქართული სახელები მხოლოდ სოფლებს შერჩენიათ, მთებს, ხევებსა და ტყეებს. გარდა ამისა, თქვენ აქ ქართველთ შორის ისე ქართველს ვეღარა ნახავთ, რომ ყველა თითრულს ენაზედ არა დაპარაკობდეს. ამ 40 წლის წინედ აქეთ იცოდნენ ქართული, დღეს-კი მათში ეს ადარ არის და ვინც იცის რამ, იმასაც სოსტები ნებას არ აძლევენ ქართულს ენაზედ დაპარაკისას; ისე რომ ქართველმა თუ ძირეულს საქართველოს კუთხე ქვაბლიანში თითრული არ იცის, უამისოდ თავისს თანა მემამულე გამაჰმადიანებულ ქართველთა წინაშე თარჯიმანი დასჭირდება.

ისე დაიკარგა, ისე ამოვარდა ქვაბლიანის ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა. დიდად სანატრელია, ამ კითხვებს ქართველი საზოგადოება ეურადღებას მიაქცევდეს, თორემ თუ დღეს, ამ მშვიდობიან დროს, ქართველთ შორის ქართული ენა ისპობა, მაღე მოიძულებენ მასთან ერთად მთელს ხალხსნოობასა და მის ხსოვნას.

დღეს, მთელს ქვაბლიანში, მხოლოდ ოთხს სოფელში დაპარაკობენ ქართულს: უდეში, სადაც 200 კომლი ქართველთა გვარის კათოლიკენი სცხოვრობენ, მთლად ქართულად მოსაუბრენი; აქვთ ძველი ეკკლესია, მაგრამ დიდად შერეული და საშიშს მდგომარეობაში მოსული, მდვდლად ჰყავთ სომეხთა კათოლიკეთ ტიბიკონზედ მდგომი მდვდელი სიმონ ჭიდოშვილი, ქართულის ენის მოტრფიალე და დიდი პატივის მცემელი ადა ენისა. ამავე სოფელში არსებობს წერაკითხვის საზოგადოების საშმართველო მიერ გახსნილი საერო სამკითხველო, რომლის ნაყოფიც მე ჩემის თვალით ვნახე აქაურს ხალხში: მდაბიო ხალხი ქართულ წერა-კითხვას კარგად შესჩვეოდა, ქართულს გაზეთებსა და ჟურნალებს სიამოვნებით კითხულობს. ამ სოფელში მთლად ორიოდ სქესისა 1600 სული ირიცხება. ხალხი ეტად დარიბია, კეტო სამოსი მესხურია, ქალთა-კი ოსმალური. ამ სოფელში 40 კომლი ქართველი მაჰმადიანი სცხოვრობს; მართალია, ესენი ქართულს ენაზედ მოსაუბრე კათოლიკეთა გვერდით სცხოვრობენ და მოდაც ქართველი გვარისა ჰყავთ, მაგრამ ქართულს ენაზედ მაინც ხმას არ იღებენ და უმაწვილებსაც თითრულად აჩვევენ დაპარაკს, ქართული არავინ იცის. ამავე სოფელში არსებობს სამინისტროს სკოლა, რომელშიაც 80 მოწაფე სწავლობს. ამათში მხოლოდ ერთი უმაწვილი დადის მაჰმადიანისა—გვარად ბარათაშვილი.

მეორე სოფ. ვალე, რომელშიაც 200 კ. სცხოვრობს; ამათგან 40 კომლი ქართველი მართლ-მადიდებელნი არიან, 100 კომლი ქართველი კათოლიკენი და 50 კ. ქართველი მაჰმადიანები. ქართველ მაჰმადიანებს გარდა, კათოლიკენი და ქართველნი თავიანთს სამშობლო ქართულს ენაზედ დაპარაკობენ; ქართველი მაჰმადიანები-კი მათთან საუბარში ქართულს ენაზედ ხმასაც არ იღებენ. მთელს სოფელში 1700 სულზედ მეტია ორიოდ სქესისა. სოფელს აქვს მართლ-მადიდებელთა ეკკლესია, კათოლიკეთა ეკკლესიაში მდვდლად იმეოფება მოხუცი მდვდელი სტეფანე ზაქარიანი, რომელიც უმეტეს ნაწილს სადმრთო მსახურებისას ქართულთ ასრულებს. სოფელში არსებობს სამინისტროს სკოლა, რომელსაც მოსწავლენი ბალმათა ჭყავს და კარგადაცა სწავლობენ პატარა მესხები.

მესამე სოფელია არალი, რომელშიაც 60 კომლი ქართველი კათოლიკე (700 სულია ორიოდ სქესისა) სცხოვრობს, ყველა ქართულს ენაზედ მოსაუბრენი. ამათ აქვთ ეკკლესია და მდვდლათ ჭყავთ სომხის შთამომავალი მდვდელი, სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონზედ მდგომი. ეკკლესიაში მდვდლის-მსახურება სომხურად სრულდება. სოფლის გლეხნი დიდს სიღატაკეში არიან, რადგანაც სოფლის მამულები ფეზულა ბეგ ათაბეგოვმა წაართვა და აგერ ეს 15 წელიწადია დავა აქვთ, მაგრამ ამ საწყალებმა არ იციან, რა ჭქმნან და თავი როგორ გაიტანონ.

მეოთხე სოფ. ბალაჯორი; აქ სახლობს 6 კომლი ქართველი გვარის კათოლიკე, მთლად ქართულად მოსაუბრენი. ამათ თავიანთი არც მდვდელი ჭყავთ და არც ეკკლესია, თუმცა სოფელში ორი ძველი დაქცეული ეკკლესიაა დღემდე დარჩენილი. ადრე, ამ სოფლის ქართველთ კათოლიკეთაგან ოსმალების 10 კომლი ქართველ კათოლიკეებისა ძალით გაუთათრებიათ; დღეს ეს გათათრებული ქართველნიც ამ სოფელში სცხოვრობენ.

აი, სულ ეს სოფლებია, სადაც მცხოვრებნი ქართულს ენაზედ საუბრობენ. სხვა სოფლებში, რომლებიც-კი ზემოდ ჩამოთვალეთ, ყველგან ქართული ენა დავიწყებულა და ამოვარდნილია. ზემოდ ჩამოთვლილს სოფლებს შორის 5 სოფელში სცხოვრობენ სომეხი კათოლიკენი, მთლად სომხურ ენაზედ მოსაუბრენი, ესენი აქ 1830 წ. გადმოსახლებულან არზრუმიდგან.

აიდგენის ხეობაში ორ-სამს სოფელში-და დაპარაკობენ ქართულს, მაგრამ ისაც ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით. რაც უნდა გაუჭირდეს ქართველს მაჰმადიანს, იგი 100 სიტყვაზედ მეტს ქართულს ენაზედ არ დახარჯავს, რადგანაც სოსტების წინაშე ფიცი აქვთ მიცემული, რომ თუ არ გაჭირვებით, ქართულს ენაზედ ხმას არ ამოიღებენ და თუნდაც ამოიღონ, 100 სიტყვაზედ მეტს არას იტყვიან, არ იდაპარაკებენ.

31 მაისს არტანის ხეობიდგან სოფ. უდეში ქართველი კათოლიკენი ჩამოვიდნენ და ამათ ამბავი მოიტანეს, რომ არტანის ხეობის სოფ. ერუშეთის ძველი ეკკლესია ქართველმა მაჰმადიანებმა მთლად დააქციესო. სრეკვე დაუქცევიათ სხვა სოფლებშიაც და ქვები საჭიროებისათვის აქა-იქ გაუზიდნიათ.

ხ. ჯ.

2 ივნ. ს. ქვაბლიანი.

რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებაში უკვე დაუწყვია განსაკუთრებულ კომისიას თათბირი საკომერციო განათლების მოწყობის შესახებ. თავმჯდომარედ ამ კომისიისა ი. ა. ანოპოვია. პირველი კრება კომისიამ მოანდომა იმ მიზანთა გამორკვევას, რომელსაც საკომერციო სასწავლებლები უნდა ემსახურონ. წევრებად პედაგოგების გარდა კომერციის წარმომადგენელნიც არიან.

— ნ ივნისს პეტერბურგში გაიხსნა პირველი აფთიაქი, რომლის დაარსების ნებაც ქალს მიეცა. აფთიაქის დამაარსებელ ქალს მრავალი მისალოცი დეპეშა და წერილი მისვლია.

— როგორც ვუწყით, შენიშნულს გაზეთს ორჯელ აფრთხილებს მთავრობა. ეხლა როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას შემდეგი ვადა დაუდგენია გაფრთხილებათა: პირველ გაფრთხილებას ძალია ერთის წლის განმავლობაში აქვს, ხოლო [illegible] გაფრთხილებას—ორის [illegible]

— ოდესის უნივერსიტეტის საბჭოს უკვე განუხილავს საგანი უნივერსიტეტების რეფორმის შესახებ და საერო განათლების მინისტრისათვის დეპეშა გაუგზავნია, რომელშიაც მადლობას უცხადებს იმის გამო, რომ უნივერსიტეტებს შეძლება მიეცათ რეფორმის შესახებ თავიანთ აზრის გამოთქმისა. სამკურნალო ფაკულტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ის რეალისტები, ვინც ლათინურ ენაში ეგზამენს დაიჭერენ, მიღებულ იქმნენ უნივერსიტეტშიო.

— მთავრობა ამ ზაფხულს მოსკოვის უნივერსიტეტის ორ პროფესორსა ჰგზავნის ამერიკაში. ამ პროფესორებმა უნდა გაიგონ და შეისწავლონ ადგილობრივი სამიწადმოქმედო ინსტიტუტები, გაიცნონ იქ მიღებული სისტემა სწავლა-განათლებისა, წეს-რიგი და სხვ.

— უკანასკნელის აღწერით, მოსკოვში სულ 1,200,000 სული მცხოვრები ყოფილა. 1900 წელს ქალაქის ქონება ფასობდა 63 მილიონ მანეთად. აქედგან 5 მილიონი მოძრავი ქონება ჰქონდა ქალაქს, 48 მილიონი უძრავი.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

რადგანაც ბურების საქმის შესახებ ამ ბოლოს დროს სულ ერთი მეორის წინააღმდეგი ცნობები ვრცელდება, საჭიროა მკითხველი საზოგადოება ცოტა არ იოს ფრთხილად მოეპყრას და ისმდვილი ინგლისურად მოწყობილისაგან (მაგალითი მრავალი ეოფილა ამ ომის დროს) გაარჩიოს: ზოგნი ამბობენ, ბურები მშვიდობიანად მორიგებასა სცდილობენ და ქ-ნი ბოტა ც სწორედ ამიტომ წავიდა ევროპაში, რომ აქ კრიუგერი ინახულოს, თავისის ქმრის მიერ შემუშავებული სამშვიდობო პირობები გადასცეს და მოხუცს პრეზიდენტს ამის ესახებ გადაწერილი პასუხი გამოსთხოვოსო,—ზოგნი-კი ასეთს განზრახვას ბურებისას სრულიად უარ-ჰყოფენ და პირ-იქით ამტკიცებენ, რომ ბურებს შერიგება აზრადაც არ მოსვლიათ. გაზეთს „Новости“-ს სწერენ, მაგალითად, გაგიდგან, რომ კრიუგერი უარს აცხადებს, შერიგების შესახებ არავითარი მოლაპარაკება არა გვაქვსო“.

პრეტორიიდგან ტუვე-ბურების გაპარვა და გაქცევაც ისრე თურმე გახშირებულა, რომ ინგლისის უმაღლესს მოხელეებს ბრძანება გამოუცია, გარდა მოხელეებისა და კონსულებისა დამ-დამობით მოგზაურობა არავის შეეძლოს. გაქცეული ტუვეები ისევ მეომარს ბურებს უერთდებიან და ინგლისელთა წინააღმდეგ იბრძვინაო, ატეობინებენ გაზ. „Temps“-ს. ამისათვის სასტიკად თურმე დავალებული აქვთ სახლის კარებებზედ ეფელა მცხოვრებთა სახელი და გვარები იოს გამოკიდული, რომ, როგორც-კი საჭიროება მოითხოვს შეეძლოთ შეიტყონ, ვინ და რა ეოფა-ქცევის ადამიანი სცხოვრობს სახლში. მეორე მხრივ, ბურების მხრივ ინგლისელებზედ გამარჯვებას გვაუწყებენ. მაშასადამე, ძნელი დასაჯერებელია ბურები შერიგებასა სცდილობდნენ და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ბრე ადვილად დათმობას მოწადინებულნი იყვნენ იმ დროს, როდესაც გამარჯვება იმათკენ არის და მტერი-კი შეწუხებულია.

— როგორც „Berlin Tageblatt“-ის ლონდონელი კორრესპონდენტი იუწყება „ოფიციალურ სარწმუნო წყაროებიდგან“, ბურებს ამ ჟამად 18,000 მეტი კაცი თურმე ჰყავთ, რომელთაგან 6,000 კაცის ახალშენში იმეორებენ. მეომართა ზარალს უტხო ქვეყნებიდგან (უფრო-კი სამხრეთ-აფრიკეთიდგან) მოსული თავისუფალი მეომრები ავსებენ და სამხრეთ იარადი და სამზადისი 18 თვეზედ მეტს ხანს ეყოფათ.

— „Petit Bleu“-ს ბრიუსელელი კორრესპონდენტის სიტყვით, შესაძლებელი თურმეა ინგლისმა ბურებს დამორჩილებლობა და თავისუფლება არ გაუფასწირონ, მაგრამ მხოლოდ ერთის პირობით. რომ კრიუგერი პრეზიდენტობიდგან გადაყენებულ იქმნას და მის მაგიერად ბოტა, შტეინი ან დეეტი იქმნას ამორჩეული. გარდა ამისა, ინგლისი თავისთვის ჩრდილო-ტრანსვაალს დაიტოვებს, სადაც მრავალი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება და დამოუკიდებელი ტრანსვაალი ორანჟეს რესპუბლიკას შეუერთდებოდ. ქ-ნს ბოტას, სხვათა შორის, დავალებული აქვს ინგლისელებისაგან, რომ ეს პირობები კრიუგერს შეატყობინოს.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ. როგორც „Temps“ იუწყება, ცნობილი ჩინელი აგიტატორი სუნ-იათსენი გავიდგან ჩინეთში წასულა, რომ აქ მთავრობის წინააღმდეგ ამბოხება მოახდინოს. სუნ-იათსენს ევროპა კარგად იცნობს. იგი ამ რამდენისამე წლის წინად ლონდონში შეეპყრეს და მთელი კვირა ჩინეთის საელჩოში დაჭეო; ლონდონში მეოთხს ჩინეთის საელჩოს მდივანს გოდლადეი მარკ კარტნეის უნდოდა თურმე სუნ-იათსენი ჩუმათ ჩინეთში გაეპარებინა გემით, მაგრამ სუნ-იათსენმა სიიდგანდაც ქუჩაში პატარა ბარათის გადაგდებ, მოახერხა და ამრიგად კარტნეის განზრახვა თავისს მეგობრებს აცნობა, რამაც თავისს დროზედ დიდი დაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. განთავისუფლების შემდეგ სუნ-იათსენი მთელის ლონდონისათვის ცნობილ კაცთ შეექმნა და უკვდგან სიამოვნებით იწვევდნენ. სხვათა შორის, ლონდონის ლიტერატორთა კლუბმა „Savage Club“ სუნ-იათსენს წვეულობა და დღესასწაულობა გაუმართა, რომელზედაც მან ინგლისურად სიტყვაც წარმოსთქვა. სუნ-იათსენს უთქვამს, მაგალითად, ერთისათვის, რომ მას განზრახვა აქვს ქვრივი იმპერატრიცა ტახტიდგან ჩამოაგდოს და მან დარინების ბატონობას ბოლო მოუღოს.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ

ამოკრებილი ამბები

ბელგიელ ზოოლოგს ვიტსმანს განუზრახავს გამოცემა დიდის წიგნისა, რომელშიაც მთელის დედამიწის დღემდის ცნობილი მწერნი იქმნებიან აღწერილი. წიგნში 750 დაბეჭდილი ფურცელი იქმნება in 4°, მრავალის სურათით შემკული თითო ნაწილის შედგენა და შემუშავება მინდობილი ექმნება სპეციალისტებს. ჯერ-ჯერობით 68 კაცი მიუწვევია ვიტსმანს.

* * *

1902 წელს სოფიში ისტორიკოსთა საინტერნაციონალო კონგრესი მოხდება. იტალიის მეფე ვიქტორ ემმანუილი კონგრესის საპატიო თავმჯდომარედ იქმნა დანიშნული. კონგრესის დროს წევრებს ნება ექმნებათ უფასოდ დაათვალიერონ მუზეები. სულ 16 სექცია იქმნება: 1, კლასიკური არქეოლოგია, 2, ნუმიზმატიკა, 3, ძველის ლიტერატურის ისტორია, 4, ძველის უფლების ისტორია, 5, საზოგადო ისტორია და საშუალო საუკუნოებისა და ახალ დროის დიპლომატიის ისტორია, 6, ძველის დროის ისტორია, 7, შუა საუკუნოებისა და ახალ დროის ლიტერატურის ისტორია, 8, მხატვრობის ისტორია, 9, უფლების ისტორია, 10, საპოლიტიკო ეკონომიისა და სოციოლოგიის ისტორია, 11, ფილოსოფიისა და პედაგოგიის ისტორია, 12, სარწმუნოების ისტორია, 13, აღმოჩენათა ისტორია; ისტორიული გეოგრაფია, 14, მათემატიკურ და ექსპერიმენტალურ მეცნიერებათა ისტორია, 15, მუსიკისა და სადრამო ხელოვნების ისტორია და 16, მეთოდიკა და ისტორიოგრაფია.

* * *

ჩერნოგორიის მთავარი ამ ჟამად ადგენს თურმე დიდ ისტორიულს რომანს. შინაარსი რომანისა აღებულია ჰერცოგოვინის მთავრის სტეფანეს დროიდგან.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 ივნისი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „Daily Maili“-ს ატყობინებენ იოჰანესბურგიდგან, რომ დეეეტი კრონშტადტის დასავლეთით იმყოფება; ბურების სარდლებს შედარებით მცირე ჯარი ჰყავთო. ბეიერი და უისი პრეტორიის ჩრდილოეთით შეერთდნენ. ბურების პატარა რაზმები მუდამ გარს ეხვეიან ბრიტანიის საადარაჯო რაზმებს; ბურები ღამისით იმალებიან, ღამე კი გამოდია და საქონლის მოტაცებას ცდილობენ.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იმპერატორი აქ ოქტომბერში დაბრუნდებაო; პორტინფუდან იმპერატორი რკინის გზით მოვა.

ᲔᲡᲡᲔᲜ-ᲠᲣᲠᲘ. ტრანსვაალის ელჩმა ლეიდსმა გამოაცხადა, რომ არც ფრენჩი და არც ბულერი არასოდეს ბურებს ტყვედ არ წაუყვანიათო.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. „Petit Bleu“-ს გაუგია ლეიდსისაგან, რომ ტყეულია „Sun“-ის მიერ გუშინ ნაუწყები ამბავი, ვითომ ბოტას განზრახვა ჰქონდეს მორჩილების გამოცხადება. გაზეთის კორესპონდენტს ლონდონში გარეშე საქმეთა სამინისტროში გაუგია, რომ ბოტასაგან არავითარი ცნობა არ მოსულაო; ესევე უთქვამთ სამხედრო სამინისტროშიაც.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. ოსმალეთის ოფიციალურ წრეებში უარსა ჰყოფენ იმ ამბავს, რომ კოსოვის ვილაეტში, მეტადრე ახალ ბაზარში, საქმე დღითი დღე უფრო ცუდად მიდის, რადგანაც ალბანელები ხშირად თავს ესხმოდნენ ქრისტიანებს. იქაური ვალი იტყობინება, რომ სერბიის საჩივრები არ გამართლდაო. ოსმალეთი იმასაცა სჩივის, რომ სერბიის მთავრობა საზღვრის დაცვის პირობებს არ ასრულებს, ამ პირობის თანახმად-კი საზღვარს ორივე სახელმწიფოს საადარაჯო რაზმები უნდა უგდებდნენ თვალ-ყურსაო; შეტაკებაც ამით აიხსნებაო.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. ოსმალეთის მთავრობამ მიანდო თავის ელჩებს მადლობა გადაუხადონ კრიტის მფარველს ოთხს სახელმწიფოს იმისთვის, რომ მათ ოსმალეთის უზენაესი უფლება აღიარეს კრიტზე და ნება არ მისცეს, რომ კუნძულზედ Status quo შეცვლილიყო.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. შუადღისას ნავთს-დგურის მიდამოში ოთხი შეიარაღებული ადგილობრივი მკვიდრი თავს დაეცა როტშილდის ქარხნის არტელშჩიკს იარცევს და წაართვა 30,000 მანეთამდე. ბოროტ-განმზრახველებმა იარცევის მხლებელი ქარხნის დარაჯი მოჰკლეს.

10 ივნისი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. მოსკოვის საიმპერატორო თეატრების დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ტელიაკოვსკი დანიშნულ იქმნა საიმპერატორო თეატრების დირექტორად.

თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნა საიმპერატორო თეატრების დირექტორი თავ. ვოლკონსკი.

9 ივნისის ბიულეტენი: „დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს ხან-გამოშვებით ეძინა, ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს. მადა—კარგი. დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული კარგად არის“.

8 ივნისის ბიულეტენი: „დიდ მთავრინას მარიამ გიორგის ასულს ღამე კირგად ეძინა. სისუსტე არ ეტყობა. ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს. ახლად დაბადებულიც კარგადაა“.

ᲙᲠᲐᲓᲝᲚᲙᲘ. მიდლანდის ცხენოსან მსროლელთ ხუთშაბათს, ვატერკლოფტთან ბრძოლის დროს, მოუკლეს 10 კაცი, დაუჭრეს 4 და ტყვედ წაიყვანეს 66. ერთმა დაჭრილმა ბურმა, რომელიც სხვა დაჭრილებთან ერთად მოიყვანეს კრადოკში, სთქვა, რომ ბურებს ერთი კაცი მოუკლესო.

ᲕᲐᲨᲘᲜᲢᲝᲜᲘ. შეერთებულ შტატებს სახელმწიფოებთან ერთად არ მიუმართავს ჩინეთისათვის ახალის მოთხოვნილებებით; იგი ამასთან არ დაუჭერს მხარს სახელმწიფოთა იმ მოთხოვნილებას, რომ საელჩოების დამცველ რაზმთა შესანახ ხარჯში ჩინეთმაც მიიღოს მონაწილეობა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲢᲝᲜᲘ. გენერალი ჩაფფი დანიშნულ იქმნა ფილიპინების სამხედრო გუბერნატორად.

ᲡᲐᲣᲓᲒᲔᲛᲘᲡᲢᲝᲜᲘ. აფრიკანდერთა დელეგატები მერრიმანი და ზაუერი კაპის ახალშენში წავიდნენ.

ᲜᲘᲣᲘᲝᲠᲙᲘ. ომახიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ საშინელმა ქარიშხალმა მდინარე კიაფახას ნაპირებზედ დიდი ზარალი მოახდინაო, 9 კაცი მოკლულია ან სასიკვდილოდ დაჭრილი; მრავალი მძიმედ არის დაჭრილი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. როტშილდის ქარხნის არტელშჩიკის გამძარცველთაგანი ორი დაიჭირეს ქალაქის მიდამოებში, მესამე მოჰკლეს, მეოთხე, რომელიც ციმბირიდგან გამოქცეული ვინმე მესხი ყოფილა, გაიქცა. ტყეში 6,000 მანეთი იპოვნეს.

ᲡᲘᲑᲘᲠᲡᲙᲘ. სიზრახის მაზრის სოფელ კიგულიაზში ცეცხლმა ნახევარი სოფელი გაანადგურა. დაიწვა: 150 სახლი, ეკკლესია, მაღაზიები. გლეხის 5 წლის ბავშვმა ჩალას წაუკიდა ცეცხლი და თვითონაც დაიწვა.

11 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ბიულეტენი 10 ივნისისა: „დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ძლიან კარგად ჰგრძნობს თავს. ახლად დაბადებული დიდი მთავრინაც კარგად არის“.

ბიულეტენი 9 ივნისისა: „დიდის მთავრინის მარიამ გიორგის ასულის ჯანმრთელობაში ცვლილება არავითარი არ მომხდარა; ძილი და მადა კარგი აქვს; ახლად დაბადებული დიდი მთავრინა ნინაც კარგად არის“.

ვიტებსკიდგან, ვოლოგდიდგან, კიევიდგან, ნოვგოროდიდგან, ტფილისიდგან და ხარკოვიდგან იუწყებიან დიდის მთავრინის ანასტასია ნიკოლოზის ასულის დაბადების გამო გარდახდილ სამადლობელ პარაკლისების შესახებ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. პორტამ გადასცა რუსეთის ელჩს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ იგი შეეთანხმა ოსმალეთის ბანკს სამხედრო ჯილდოს დარჩენილ ფულის შეტანის შესახებაო.

ᲕᲐᲨᲘᲜᲢᲝᲜᲘ. გეჯმა გამოაქვეყნა ვრცელი განმარტება რუსეთის ზოგიერთ ნაწარმოებებზედ გასათანასწორებელ ბაჟის დაწესების შესახებ. ამ განმარტებას აზრად აქვს შესაძლებელ უთანხმოების თავიდგან აცილება. გეჯი ამტკიცებს, რომ დინგლის სტარიფა კანონის დადგენილების ძალით, შეტანილ გაუწმენდავ ნავთს ან ამ ნავთის ნაწარმოებებს, სხვა ქვეყნებში დამზადებულს, თუ ამ ქვეყნებში შეერთებულ შტატების ნავთს ან ნაწარმოებს ბაჟს ადებენ, ისეთივე ბაჟი უნდა დაედოს, როგორსაც ამ ქვეყნებში ადებენ. ამ დადგენილების წინააღმდეგ არც ეთოს სახელმწიფოს პროტესტი არ განუცხადებიაო. გეჯი ამბობს შემდეგ, რომ თუ შემოტანილ ნავთს თან ახლავს ელჩის მოწმობა იმის შესახებ, თუ სიიდგან არის ეს ნავთი მოტანილი, უნდა ბაჟი დაედოს მას უმაღლესის ტარიფითაო. „შეერთებულ შტატების მოხელეებს,—ნათქვამის შემდეგ განმარტებაში,—ვერ გაუგიათ, რად უნდა ეწყინოს რუსეთს ან რად უნდა დაადოს დიფერენციალური ბაჟი შეერთებულ შტატის ნაწარმოებებსაო“. „იმედია ამიტომ

—განაგრძობს გეჯი ანგარიშგასაგებ-რტავს საქმეს, რომ რუსეთმა გაუფრთხილებელ თავის დონისძიებათ და დაამტკიცებს, რომ აზრად ესა აქვს შეერთებულ შტატებთან უსამართლოდ მოქცევა საბაჟო საქმეებში. კაბინეტი დარწმუნებულია, რომ უფლება ამ შემთხვევაში ამერიკის მთავრობის მხარესაა. იგი ჰფიქრობს, რომ თუ რუსეთი მეგობრულად მოეპყრობა ამერიკას, იგი იმ დასკვნამდე მივა, რომ იმისი მოქმედება ამ შემთხვევაში იმ გვარი არ არის, რომელსაც შეუძლიან ამერიკელებს მეგობრული გრძნობანი დაუბადოს რუსეთის მიმართ“. გეჯი ახლო მომავალში მაჭმართნეს რუსეთს, დაწვრილებით აგნსის შტატების ოფიციალურ ფაქტებს და საცნობელ ოფიციალურ ფაქტებს, რომ რუსეთი წინდაუხედავად მოიქცა ზოგიერთ ფაქტების ცრუ ლობით, სავსებით ბაჟი შემ...

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „Times“-ს ნებენ ნიუ-იორკიდგან, რომ ისმის, გეის არ მოსწონს ბაჟი-ტიკა რუსეთის წინააღმდეგაო. ამასა ჭსურს კეთილ განწყობილებაში იყოს ამ სახელმწიფოთასთან, რომელიც ამერიკის პოლიტიკას ჩინეთში მხარს უჭერდა. რუსეთის ელჩიც თანხმობასაა მოწადინებული ეკონომიურ და პოლიტიკურ საქმეებში.

ᲠᲝᲛᲘ. პაპატამ, ცანარდელლის განმარტების შემდეგ, 264 ხმის უმეტესობით 184 ხმის წინააღმდეგ უარ ჰყო მთავრობის მიერ დაწუნებულ დეპუტატის რიჩჩიოს სხვა საქმეებზედ გადასვლელი ფორმულა, მემარცხენეთ პროტესტი განცხადეს დადგენილების წინააღმდეგ; შემდეგ პაპატა დაიშალა.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. ჩინეთში გაგზავნილი ოსმალეთის მისია იაპონიაში წავიდა. ჰფიქრობენ, რომ მისია ოსმალეთში ტიმბირის გზით დაბრუნდებაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. კრადოკიდგან იუწყებიან, რომ ბურთა წინამძღოლის მალანის წინააღმდეგ ხუთშაბათს დიდით გაგზავნილ იქმნა მსროლელთა ცხენოსანი რაზმი კაპ. შპინდაუს უფროსობითა. კვირას მალანი რკინის გზას გადაედო რადგეგოგტთან და დასავლეთისკენ წავიდა. ვატერკლოფთან მომხდარ შეტაკების შესახებ ახალი ცნობები არ არის, იმის გარდა, რომ შპინდაუ სასიკვდილოდ დაიჭრაო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, **რომ 14 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ,** გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის **საყასპოების** შეკეთების საქმე. **სამუშაო** სულ 3540 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ **გამგეობის** ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—3.—1)

ახალი შევსებული გამოცემა

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲝᲜᲘ

დაიბეჭდა ახალ მეთერთმეტე გამოცემად და ისყიდება წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ამ გამოცემაში ბევრად შევსებულია გეოგრაფიული, ისტორიული და ქრისტომატიული განყოფილება. სივრცით ეს გამოცემა აღემატება წინანდელს 80 გვერდით. ფასი-კი იგივეა, ესე იგი ოთხი აბაზი ყდით. ხოლო ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპეიკად, ვინც ოცობით—64 კაპეიკად.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Іюня 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხუდაძისა, ფონის-მეფიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲭᲐᲕᲭᲐᲫᲔ